ფინანსური ინსტრუმენტები ბასს 32-ის მიხედვით განსაზღვრულია როგორც ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს. ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და გაზომვა მოცემულია ფასს 9 ში- ფინანსური ინსტრუმენტები მისი მიზანია საწარმოს მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის, მოძრაობის დროსა და მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის შესაფასებლად შესაბამისი და სასარგებლო ინფორმაციით უზრუნველყოფა. ფასს 9-ის ახალი ვერსია (რომელიც აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის:

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.) ანაცვლებს ბაას 39-ს.

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის საქმიანობასა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ფინანსური აქტივებია:

- ა) ფულადი სახსრები;
 - ბ) სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტი;
 - გ) საწარმოს სახელშეკრულებო უფლება;
 - დ) ხელშეკრულება, რომელიც ანაზღაურდება ან შესაძლებელია ანაზღაურდეს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით.
- კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური ვალდებულებები

ბაას 32-ის მიხედვით ფინანსური ვალდებულება არის ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც არის:

- ა) საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულება:
 - (1) სხვა საწარმოს გადასცეს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივები; ან
 - (2) მისთვის პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები; ან
- ბ) ხელშეკრულება, რომელიც დაიფარება ან შესაძლებელია დაიფაროს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით და წარმოადგენს:
 - (1) არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომლისთვისაც საწარმო გადასცემს ან შესაძლოა იძულებული იყოს გადასცეს ცვლადი რაოდენობის საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები; ან
 - (2) წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც დაიფარება ან შეიძლება ნებისმიერი ფორმით დაიფაროს, გარდა დადგენილი ოდენობის ნაღდი ფულის ან სხვა ფინანსური აქტივების გაცვლისა, საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებულ რაოდენობაზე.

ფინანსური ვალდებულებები ბაას 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომლებიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

საინვესტიციო ქონება

ბასს 40 მიხედვით საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებში) საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, ასევე საინვესტიციო ქონებას განეკუთვნება ქონებაც, რომლის მშენებლობა ან განახლება მიმდინარეობს საინვესტიციო ქონებად სამომავლო გამოყენებისთვის.

საინვესტიციო ქონება აქტივად აღიარება ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს;
- ბ) შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება. თვითღირებულება არის ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების გადახდილი თანხა, ან აქტივის სანაცვლოდ გადაცემული სხვა სახის კომპენსაციის რეალური ღირებულება აქტივის შესყიდვის ან მშენებლობის დამთავრების მომენტისათვის. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ საბაზრო პირობებს.

ძირითადი საშუალებები

წარდგენის პრინციპები

ძირითად საშუალებად მიიჩნევა აქტივი, რომლის სასარგებლო გამოყენების (ექსპლუატაციის) ვადა აღემატება ერთ წელს. საწყისი ისტორიული ღირებულება მოიცავს შესყიდვის საფასურს, ამოუღებელ გადახდილ გადასახადებს და იმ ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში გაშვებასთან.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნარჩენი ღირებულებით, ისტორიული ღირებულებას მინუს მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში დარიცხული ცვეთა შემდეგნაირად:

სატრანსპორტო საშუალებები	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
მანქანა-დანადგარები	8%
შენობა-ნაგებობები	5%
არამატერიალური აქტივები	15%

ცვეთა

ცვეთა ერიცხება ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებას. მისი დარიცხვა ხდება დაჩქარებული ცვეთის მეთოდით.

ძირითადი საშუალებების შეკეთება და რემონტი – ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება მის შემდეგ რაც იგი გაიშვება წარმოებაში ჩაითვლება აქტივად, თუ იგი მნიშვნელოვნად

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

აუმჯობესებს მის მდგომარეობას. ძირითადად ხდება შემდეგი ტიპის რემონტების კაპიტალიზაცია:

ტექნიკური აღჭურვილობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება

შენობა-ნაგებობების გაუმჯობესება, მათი სტრუქტურული ელემენტების სრულად ან ნაწილობრივ შეცვლით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმომოხილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული სასარგებლო მომსახურეობის ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს დაჩქარებული ცვეთის საფუძველზე მათი სავარაუდო სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, შემოსავლების მიღების უფლების მოპოვების შესაბამისად, შემოსავლების ფაქტობრივად მიღების მიუხედავად.

კომპანიის შემოსავლები ძირითადად შედგება: შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლებისა და სხვადასხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

ხარჯების აღიარება ხდება მათი გაწევისთანავე დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

იჯარა

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის(ბასს) 17 ის მიხედვით - იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იჯარა ფინანსურია თუ ჩვეულებრივი, დამოკიდებულია გარიგების შინაარსზე და არა ხელშეკრულების იურიდიულ ფორმაზე.

იჯარა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა - საოპერაციო იჯარის გადახდები აღიარდება ხარჯად წრფივ საფუძველზე იჯარის მოქმედების პერიოდის განმავლობაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით განაწილებას სისტემატიზაციის სხვა მიდგომა უკეთ ასახავს.

ფინანსური იჯარა (ლიზინგი) – ბასს 17-ის მიხედვით იჯარის კლასიფიცირებას ფინანსურ იჯარად განაპირობებს შემდეგი:

- ა) იჯარის ხელშეკრულების თანახმად მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ;
- ბ) მოიჯარეს უფლება აქვს აქტივი შეიძინოს ისეთი ფასით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად დაბალი იქნება აქტივის რეალურ ღირებულებაზე, რომელიც მას ექნება უფლების გამოყენების მომენტში, ხოლო იჯარის დასაწყისისათვის არსებობს გონივრული რწმენა, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება;
- გ) იჯარის ვადა მოიცავს აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილს, მაშინაც კი, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდება;
- დ) იჯარის დასაწყისისათვის მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება შეადგენს მინიმუმ იჯარით გაცემული აქტივის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას; და
- ე) იჯარით გაცემულ აქტივები იმდენად სპეციფიკური ხასიათისაა, რომ მხოლოდ მოიჯარეს შეუძლია მათი გამოყენება არსებითი მოდიფიკაციის გარეშე.

გადასახადები

ორგანიზაცია ვალდებულია შეასრულოს საგადასახადო აგენტის ფუნქცია პერსონალის, გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული ფიზიკური პირებისა და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული არარეზიდენტი პირების მიმართ, დაუკავოს მათ საშემოსავლო გადასახადი და გადაიხადოს ბიუჯეტში.

საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით 2017 წლის 1 იანვრიდან გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა 15%-იანი მოგების გადასახადით. კომპანია ასევე იხდის საშემოსავლო, დამატებითი ღირებულების, ქონების და სხვა გადასახადებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდების აღიარება ხდება ვალდებულებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი განაწილება აქციონერთა კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან რაციონალური დაშვებებისა და შეფასებების გამოყენებას, რომლებიც ზემოქმედებენ აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშგებო მონაცემებზე და საოპერაციო პერიოდის შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობებზე.

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. კონკრეტული შეფასებების და გადაწყვეტილებების მიღება ხდება გამოცდილებასა და იმ ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის მომავალ ფუნქციონირებას. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის ძირითადი შეფასებები და დაშვებები, რომლებიც არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა კომპანიის მენეჯმენტისგან მოითხოვს მათი სარგებლიანობის ვადის განსაზღვრას. აქტივის სასარგებლო ვადაში იგულისხმება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია საწარმოს მიერ აქტივის გამოყენება, ან პროდუქციის რაოდენობით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია საწარმოს მიერ მოცემული აქტივის გამოყენებით.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის. საწარმოს აქტივების მართვის პოლიტიკა შეიძლება გულისხმობდეს აქტივების გაყიდვას, გარკვეული დროის ან აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის გარკვეული ნაწილის მოხმარების შემდეგ. აქედან გამომდინარე, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება მისი ეკონომიკური ვარგისიანობის ვადაზე ნაკლები აღმოჩნდეს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენა დამოკიდებულია საწარმოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზე, რომელიც ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას

ბასს 16 მიხედვით ძირითადი საშუალებებისათვის ცვეთის დარიცხვის მეთოდი პერიოდულად, ფინანსური წლის ბოლოს მაინც, უნდა გადაისინჯოს და, თუ მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება მოცემული აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის ხასიათში, შესაბამისად უნდა შეიცვალოს ცვეთის დარიცხვის მეთოდიც.

საწარმო სააღრიცხვო შეფასებებში, კონკრეტულად აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ცვლილების ხასიათმა და შედეგმა, შესაძლოა მნიშვნელოვანი

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

გავლენა მოახდინოს მიმდინარე ან მომავალი საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და შესაბამისად საბალანსო ღირებულებაზე.

გადასახადები

საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში კერძოდ, საგადასახადო და სხვა კანონებში არის მრავალი დებულება, რომელის იძლევა მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას. აქედან გამომდინარე შესაძლებელია კომპანიის მიერ საგადასახადო ვალდებულებების აღიარება, გარკვეულწილად განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან გაკეთებული შეფასებებისგან.

კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული რისკები, რომლებმაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე.

3. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და წვრილმან ფულად სახსრებს. კომპანიას აქვს ანგარიში საქართველოს ბანკში, ქართუ ბანკში და თიბისი ბანკში შემდეგ ვალუტებში: ქართული ლარი, ამერიკული დოლარი, და ევრო.

ბანკის ნაშთების ჩამონათვალი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	2016
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	888.40	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		
ბანკი რესპუბლიკა	2.55	2.55
საქართველოს ბანკი	-	118.61
ბანკი ქართუ	-	108.11
ბანკი რესპუბლიკა/ ფილიალი მცხეთა გზა	7.90	7.90
თიბისი ბანკი	7,787.90	46,293.07
სპეც ანგარიში საცხოვრებელი კორპუსი	1,500.00	523.08
შემნახველი ანგარიში თიბისი ბანკში	550,000.00	900,000.00
ბიზნეს ანგარიში	1,886.98	718.80
შიდა საბაკო ანგარიში (უზრუნველყოფა)	-	-
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		
"ბანკი რესპუბლიკა" დოლარი	42.78	42.78
"ბანკი რესპუბლიკა" ევრო	217.87	217.87
თიბისი ბანკი დოლარი	18.55	72.52
თიბისი ბანკი ევრო	-	-
დოლარის ანგარიში საქართველოს ბანკში	-	3.48
ბიზნეს ანგარიში დოლარში (უზრუნველყოფა)	84.32	173.37
სულ:	562,437.25	948,282.14

ფულადი სახსრების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

4. მოკლევადიანი მოთხოვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის მოკლევადიანი მოთხოვნები მოიცავს:

	2017	2016
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,456,166.21	2,243,404.99
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(1,023,656.86)	(771,637.62)
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ	19,335.73	19,335.73
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	12,677.26	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ აღსრულებაზე	2,658.01	1,783.82
მოთხოვნები ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო ორგანოების წევრების მიმართ	3,967,096.74	3,967,096.74
მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხიდან	23,878.51	25,255.00
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ ჯამრთელობის დაზღვევაზე	11,291.30	6,117.30
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	79,487.42	513.57
სხვა მოთხოვნები	453,183.55	99,493.48
სულ მოკლევადიანი მოთხოვნები:	7,002,117.87	5,591,363.01

5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
საქონელი	1,259.18	-
ნედლეული და მასალები	102,819.72	46,775.23
დაუმთავრებელი წარმოება	1,139,347.44	1,105,715.94
მზა პროდუქცია	-	4,401.50
სხვა საწარმოო მარაგი	5,750.00	5,750.00
სულ მარაგები:	1,249,176.34	1,162,642.67

დაუმთავრებელი წარმოების საბალანსო ანგარიშზე ნაშთი მოიცავს ქალაქ მცხეთაში საცხოვრებელი კორპუსისა და ქ.თბილისში ხევძმარის ქ#4-ში არსებული კორპუსის ღირებულებას.

6. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს 2017 წლის განმავლობაში ორგანიზაციის ძირითად საშუალებებში მომხდარ ცვლილებებსა და მათ სტრუქტურულ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბერისათვის:

	მიწის ნაკვეთები	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>									
2016 წ. 31 დეკემბერი	343,229	1,016,191	606,728	7,182,356	92,417	490,072	2,746,755	688,348	13,166,096
შეძენა	-	-	-	1,589,142	-	32,261	221,286	-	1,842,688
ლიკვიდაცია და ჩამოწერა	-	-	-	551,445	-	5,654	143,128	-	700,227
2017 წ. 31 დეკემბერი	343,229	1,016,191	606,728	8,220,053	92,417	516,679	2,824,913	688,348	14,308,557
<i>დაგროვილი ცვეთა</i>									
2016 წ. 31 დეკემბერი	-	309,816	215,841	5,130,875	52,873	371,767	1,801,849	611,366	8,494,388
წლის დარიცხვა	-	36,241	19,544	664,287	4,829	29,650	227,748	15,396	997,696
ლიკვიდაცია და ჩამოწერა	-	-	-	240,156	-	3,338	105,141	-	348,634
2017 წ. 31 დეკემბერი	-	346,057	235,386	5,555,007	57,702	398,079	1,924,457	626,763	9,143,450
<i>ნეტო საბალანსო ღირებულება</i>									
2016 წ. 31 დეკემბერი	343,229	706,375	390,886	2,051,481	39,543	118,306	944,906	76,982	4,671,707
2017 წ. 31 დეკემბერი	343,229	670,134	371,342	2,665,046	34,715	118,600	900,457	61,585	5,165,107

შპს “ცეკური”

ფინანსური ანგარიშგება და აუდიტორული დასკვნა 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის. (მომზადებულია ქართულ ლარში)

არამატერიალური აქტივები

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს 2017 წლის განმავლობაში ორგანიზაციის არამატერიალურ აქტივებში მომხდარ ცვლილებებსა და მათ სტრუქტურულ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბერისათვის:

	ლიცენზიები	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>		
2016 წ. 31 დეკემბერი	62,970	62,970
შეძენა	24,490	24,490
ლიკვიდაცია და ჩამოწერა	-	-
2017 წ. 31 დეკემბერი	87,459	87,459
<i>დაგროვილი ამორტიზაცია</i>		
2016 წ. 31 დეკემბერი	7,761	7,761
წლის დარიცხვა	3,985	3,985
ლიკვიდაცია და ჩამოწერა	-	-
2017 წ. 31 დეკემბერი	11,746	11,746
<i>ნეტო საბალანსო ღირებულება</i>		
2016 წ. 31 დეკემბერი	55,208	55,208
2017 წ. 31 დეკემბერი	75,713	75,713

შპს “ცეკური”

ფინანსური ანგარიშგება და აუდიტორული დასკვნა 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის. (მომზადებულია ქართულ ლარში)

7. მიღებული ავანსები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის მიღებული ავანსები მოიცავს:

	2017	2016
საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი	2,435,419.45	453,020.19
ხევძმარის ქ 4 საცხოვრებელი კორპუსი	372,489.30	617,092.95
სულ:	2,807,908.75	1,070,113.14

8. ვალდებულებები საგარანტიო მომსახურებაზე

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ვალდებულებები საგარანტიო მომსახურებაზე მოიცავს:

	2017	2016
კრისტალი	17,607.09	17,607.09
ბურჯი 777	4,116.90	4,116.90
გ კ ტექნოლოგი	58,420.84	58,420.84
სულ:	80,144.83	80,144.83

9. გრძელვადიანი სესხები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის გრძელვადიანი სესხები მოიცავს:

	2017	2016
ხელშეკრულება 1144926-9298514 (400,000 ლარზე)	368,270.37	-
ხელშეკრულება 1144926-8268839 (125,000 აშშ დოლარი)	-	21,643.30
ხელშეკრულება 1144926-8616980	1,181,928.16	1,539,250.00
სულ გრძელვადიანი სესხები:	1,550,198.53	1,560,893.30

10. გადახდილი დივიდენდები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის განმავლობაში გაცემულმა დივიდენდებმა შეადგინა 1,141,810 ლარი.

შპს “ცეკური”

ფინანსური ანგარიშგება და აუდიტორული დასკვნა 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის. (მომზადებულია ქართულ ლარში)

11. დამხმარე მასალების დანახარჯები

დამხმარე მასალების ხარჯი 2017 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
საცხები მასალების ხარჯი	102,953.02	99,210.33
დაწნეხილი გაზი	21,209.93	3,646.27
სათადარიგო ნაწილები	272,378.45	412,089.42
სპეცტანსაცმელი	7,600.85	5,346.67
სხვა დამხმარე მასალის ხარჯი	144,043.85	255,172.24
სულ:	548,186.10	775,464.93

12. კომუნალური ხარჯი

კომუნალური ხარჯი 2017 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ელექტრო ენერგიის ხარჯი	83,047.29	124,215.34
ბუნებრივი აირის ხარჯი	507,059.41	362,149.74
ტელეფონის ხარჯი	13,320.87	16,822.02
დასუფთავების ხარჯი	1,072.80	1,423.64
ინტერნეტის ხარჯი	881.43	1,034.41
წყლის ხარჯი	2,618.58	10,210.37
სხვა	678.00	-
სულ:	608,678.38	515,855.52

13. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალი 2017 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
შემოსავალი მასალის რეალიზაციიდან	825,674.43	1,996,568.15
შემოსავალი ქონების რეალიზაციიდან	322,661.14	360,464.11
საპროცენტო შემოსავლები	1,671.56	9,021.99
სხვა არასამეწარმეო შემოსავალი	22,005.34	8,282.63
სულ:	1,172,012.47	2,374,336.88

14. არასაოპერაციო ხარჯი

არასაოპერაციო ხარჯი 2017 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
სესხზე გადახდილი პროცენტი	63,140.45	32,014.67
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	3,945.05	176,028.72
სხვა არასამეწარმეო ხარჯები	72,921.63	103,719.79
სულ:	140,007.13	311,763.18

15. მოგების გადასახადი

2017 წლის იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში ძალაში შევიდა ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც რეინვესტირებული მოგება გამონაკლისების გარდა განთავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან. დაბეგვრას ექვემდებარება, მხოლოდ განაწილებული მოგება. აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, კომპანიას აღარ წარმოეშობა დროებითი სხვაობები და მასთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება.

16. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის ფინანსური რისკების მართვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ელემენტია მისი ფუნქციონირებისთვის. ნებისმიერი კომპანიის საქმიანობა ექვემდებარება ფინანსური რისკების ზეგავლენას. ძირითადი ფინანსური რისკები დაკავშირებულია საკრედიტო, ლიკვიდურობის, საბაზრო(სავალუტო რისკი, საპროცენტო რისკი) და საოპერაციო რისკებთან. რისკების მართვის სწორად დაგეგმილი პოლიტიკის ძირითადი მიზანია ფინანსური რისკების ზეგავლენის შემცირება კომპანიის საქმიანობაზე.

საკრედიტო რისკი

კომპანიის საქმიანობა ექვემდებარება საკრედიტო რისკის ზეგავლენას. კერძოდ, რისკს რომ რომელიმე მომწოდებელი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

კომპანია ახალ მომხმარებელთან ხელშეკრულების გაფორმებამდე ახდენს მის შეფასებას და ცდილობს თავიდან აირიდოს საკრედიტო რისკით გამოწვეული უარყოფითი შედეგები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ეხება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას. როდესაც კომპანიის ფინანსური აქტივები ნაკლებია ვალდებულებებზე, მათი დაფარვის პერიოდის დადგომისათვის.

კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ მას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა რომ შეასრულოს მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი გამოწვეულია საბაზრო ფაქტორების გავლენით, რომლებიც კომპანიის აქტივებსა და პასივებზე ახდენენ გავლენას. ეს ფაქტორებია: საბაზრო ფასების ცვლილებები, როგორცაა საპროცენტო განაკვეთის, კაპიტალის ღირებულების, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის და ა.შ. ცვლილებები. ძირითადი საბაზრო რისკები დაკავშირებულია საპროცენტო განაკვეთების და სავალუტო კურსების ცვლილებებთან, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი დაკავშირებულია სავალუტო კურსის ცვლილებებთან, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

შპს „ცეკურს“ არ გააჩნია მნიშვნელოვანი სავალუტო პოზიცია შესამოწმებელი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი დაკავშირებულია სესხის საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილებასთან, რომელიც გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ღირებულების ცვლილებებზე.

კომპანიას 2017 წლის განმავლობაში ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული აქვს ორი სასყიდლიანი კრედიტი სესხის სახით ფიქსირებული განაკვეთით წლიური 11% და 13%. ასევე კომპანიას გახსნილი აქვს საკრედიტო ხაზი სს“თიბისი ბანკში“. (შენიშვნა 9. გრძელვადიანი სესხები)

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი.

ყოველთვის იარსებებს საოპერაციო რისკი, რომელიც კომპანიას შეუძლია აკონტროლოს პოტენციური რისკების შემცველი ოპერაციების მონიტორინგით, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, დასაქმებულ პერსონალს შორის მოვალეობების შესაბამისი განაწილებით, კადრების გადამზადებით, შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებით.

კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს აკონტროლოს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით გამოწვეული რისკები და უზრუნველყოს დანაკარგების მინიმიზაცია.

17. კაპიტალის მართვა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი კომპანიის ფინანსური მართვის კუთხით არის მისი კაპიტალის მართვა.

კომპანიამ სწორი მენეჯმენტით უნდა მიაღწიოს კაპიტალის გამოყენების ისეთ თანაფარდობას, რომლის დროსაც, უზრუნველყოფილი იქნება ყველაზე ეფექტური ურთიერთკავშირი საკუთარი კაპიტალის რენტაბელობასა და დავალიანების კოეფიციენტებს შორის, ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს, კომპანიის რენტაბელობის მაქსიმიზაციას.

კომპანიის მთავარი მიზანი კაპიტალის მართვისას არის იმ რისკების მართვა, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის კაპიტალის პოზიციაზე, რათა უზრუნველყოს ლიკვიდურობის ოპტიმალური დონე, დააკმაყოფილოს კომპანიის ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპი, მოხდეს კაპიტალის ეფექტური გამოყენება კომპანიის განვითარებისთვის და უზრუნველყოს მესაკუთრეთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კომპანია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

18. პირობითი ვალდებულებები

ბიზნეს გარემო - უკანასკნელ წლებში საქართველომ განიცადა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. როგორც ეს განვითარებად ბაზარს ახასიათებს, საქართველოს არ აქვს კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც როგორც წესი არსებობს ბევრ მაღალგანვითარებულ ბიზნეს ბაზარზე. კანონები და ნორმები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობაზე ახდენენ გავლენას, სწრაფად იცვლება. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნება დამოკიდებულია იმ ფისკალური პროგრესის ეფექტურობაზე, რომელიც ხორციელდება მთავრობის მიერ, და სხვა ქმედებებზე, რომლებიც ცდება ორგანიზაციის კონტროლის ფარგლებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს საქართველოში აღინიშნებოდა დადებითი ეკონომიკური ძვრები, გრძელვადიანი პერსპექტივაში ორგანიზაციის აქტივები და საქმიანობა შესაძლებელია აღმოჩნდეს რისკის ქვეშ, თუ პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში არახელსაყრელი ცვლილებები მოხდა.

სასამართლო დავები - კომპანიას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასამართლო დავა არ ჰქონია.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასამართლო დავა ჰქონდა 3 საქმეზე საერთო თანხით 81 780 ლარი.

ზვიად ლიპარტელიანი	5,190.00	ცაგერის სასამართლო	საქმე N2/29
შპს ბილდერ ჯგუფი	61,590.00	თბილისის საქალაქო სასამართლო	საქმე N2/9919-13
ჯორჯიან ბიტუმენ	15,000.00	თბილისის საქალაქო სასამართლო	საქმე N2/15079-14

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24 ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ მათ ხელშია.

	2017	2016
საბალანსო ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	61,112.87	-
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,358,096.52	293,937.43
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	-	4,689.60
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	(677,273.55)	(321,155.62)

20. ფუნქციონირებადი საწარმო

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა არ გეგმავს ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტას ან საქმიანობის მასშტაბის არსებით შემცირებას. ასევე არ არსებობს სხვა რაიმე გარემოება, რომელიც საეჭვოს გახდიდა ორგანიზაციის უნარს გააგრძელოს ფუნქციონირება უახლოეს მომავალში. შესაბამისად, ორგანიზაცია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომ პერიოდში, არ ჰქონია ადგილი რაიმე ისეთ მოვლენას, რომელიც არსებით გავლენას მოახდენდა 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე და მოითხოვდა მის კორექტირებას.
